

YULIA ORESHINA • GIORGI ZAZUNISHVILI

COLLECTIVIZATION AND CULTURAL AUTONOMY:

The Early Soviet Period of Jewish History in Georgia



კოლექტივიზაცია და კულტურული ავტონომია:

საქართველოს ებრაული ისტორიის ადრეული საბჭოთა პერიოდი

იულია ორეშინა • გიორგი ზაზუნიშვილი

COLLECTIVIZATION AND CULTURAL AUTONOMY:

The Early Soviet Period of Jewish History in Georgia

Yulia Oreshina
Giorgi Zazunishvili

კოლექტივიზაცია და კულტურული ავტონომია:

საქართველოს ებრაული ისტორიის ადრეული საბჭოთა პერიოდი

იულია ორეშინა
გიორგი ზაზუნაშვილი

2023

Project idea and supervision

YULIA ORESHINA

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი

იულია ორეშინა

© ინტერკულტურული დიალოგისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფორუმი

პუბლიკაცია გამოცემულია როზა ლუქსემბურგის
ფონდის მხარდაჭერით და ექვემდებარება უფასო გავრცელებას.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა,
არ გამოხატავდეს როზა ლუქსემბურგის ფონდის პოზიციას.

**This publication was prepared with support from the
Rosa Luxemburg Foundation and is distributed free of charge.**

**All opinions expressed are of the authors' alone
and do not necessarily reflect the views of the Foundation.**



ინტერაულტურული
დიალოგისა და კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ფონდი



Table of contents

Introduction	7
Literature Review	9
Critic of Sources	17
Chapter 1: Jewish History of Georgia. An Overview	22
Chapter 2: Jewish Collective farms in the USSR, Within the Framework of Soviet Nationality Politics (Korenizatsiia)	33
The Crimea Project and the Birobidzhan Project	39
The Role of Agro Joint	41
Chapter 3: Jewish collective farms in Georgia	46
Cultural life	53
The Financial Situation of Jewish Collective Farms	56
Chapter 4: The Jewish Collective Farm Tsiteli Gora	60
Conclusion	72
Literature	74
List of Source	75

სარჩევი

წინასიტყვაობა	7
ლიტერატურის მიმოხილვა	9
წყაროების კრიტიკა	17
თავი 1: საქართველოს ებრაული ისტორია. მიმოხილვა	22
თავი 2: ებრაული კოლმეურნეობები სსრკ-ში ეროვნებებზე მიმართული საბჭოთა პოლიტიკის ფარგლებში (კორენიზაცია).....	33
ყირიმისა და ბირობიჯანის პროექტი	39
აგროჯონთის როლი	41
თავი 3: ებრაული კოლმეურნეობები საქართველოში	46
კულტურული ცხოვრება.....	53
ებრაული კოლმეურნეობების ფინანსური მდგომარეობა.....	56
თავი 4: ებრაული კოლმეურნეობა — „წითელი გორა“	60
დასკვნა	72
ლიტერატურა	74
წყაროების ჩამონათვალი	75

INTRODUCTION

The book currently in your hands is the first attempt made at a scholarly understanding of the phenomenon of Jewish collective farms in Soviet Georgia. This work does not claim to be a complete or in-depth study of the issue.

This text is rather the beginning of a longer journey intended to give a general outline of the development of Jewish collective farms in Georgia, to introduce the major historical sources into scholarly circulation, and to draw scholarly attention to the lacunae in the research of Georgian Jewish history and the history of Jewish monoethnic collective farms.

In our research, we tried to look at the relationships between local and central authorities, the decision-making process, and the general course of politics of resettling and creating a strong agrarian sector in Soviet Georgia.

The book is mostly based on archival research and oral history interviews collected by the research team in field trips in the summer of 2023. The research team closely worked with the National Archives of Georgia, and in particular with the fonds related to the history of GruzOZET and Evkombed.

შესავალი

წიგნი, რომელიც ხელთ გაქვთ, არის საბჭოთა საქართველოში ებრაული კოლმეურნეობის ფენომენის მეცნიერული გააზრების პირველი მცდელობა. მას არ აქვს საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების საკითხის სრული და სიღრმისეული შესწავლის პრეტენზია.

ეს უფრო ხანგრძლივი მოგზაურობის დასაწყისია, რომელიც საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების განვითარების ზოგად მონახაზს უნდა ასახავდეს, სამეცნიერო წრეებს აცნობდეს ძირითად ისტორიულ წყაროებსა და მეცნიერთა ყურადღებას მიაპყრობდეს ებრაული ისტორიისა და ებრაული მონოეთნიკური კოლმეურნეობების ისტორიის კვლევაში არსებულ ხარვეზებზე.

ჩვენ კვლევაში შევეცადეთ დავკვირვებოდით ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და საბჭოთა საქართველოში განსახლებისა და ძლიერი აგრარული სექტორის შექმნის ზოგადი პოლიტიკის მიმდინარეობას.

წიგნი ძირითადად ეფუძნება საარქივო კვლევასა და ინტერვიუების საშუალებით მოპოვებულ ზეპირ გადმოცემებს, რომლებიც 2023 წლის ზაფხულში საველე მოგზაურობის დროს მკვლევართა ჯგუფმა შეაგროვა. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ საქართველოს ეროვნულ არქივთან, განსაკუთრებით კი გრუზოზეტისა და ევკომბედის ისტორიასთან დაკავშირებულ ფონდებთან.



GRUZOZET is Zem-el'noe ustroistvo trudiashchikhsia evreev [i.e. Settlement of Toiling Jews], the Georgian branch of the OZET (Yiddish: געזעט; abbreviation for the Society for Land Management of Jewish Workers; full name – All-Union Society for the Land Management of Working Jews in the USSR.) This all-Soviet organization (formally public) aimed to attract Soviet Jews to agricultural work and raised funds in different countries. OZET functioned from 1925 to 1938, and GruzOZET, from mid-1920s to late 1930s.

გრუზოზეტი (Zemel'noe Ustroistvo Trudiashchikhsia Evreev [გ.ი. მშრომელი ებრაელების დასახლება]) ოზეტის (იდიშ: געזעט; ებრაელ მუშაკთა მიწის მართვის საზოგადოების აბრევიატურა; სრული სახელწოდება – სსრკ-ში მუშა ებრაელების მიწის მართვის საკავშირო საზოგადოება) ქართული დანაყოფია. ეს ორგანიზაცია (ფორმალურად საჯარო) მიზნად ისახავდა საბჭოთა ებრაელების მოზიდვას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩასართავად. ოზეტი ფუნქციონირებდა 1925 წლიდან – 1938 წლამდე, ხოლო გრუზოზეტი – 1925 წლიდან – 1937 წლამდე.

The issue of Jewish collective farms in Georgia should be analyzed within the wider context of the history of Jewish collective farms in the USSR. The process of including the Soviet Jewish population in the agrarian economy was closely related to the all-Soviet trends of collectivization and the korenizatsiia policy of the 1920s.



The view of the Tseteli Gora collective farm
in Lagodekhi, Georgia, 1929.
Collection of Kunstkamera. ©MA3 PAH 2023

„წითელი გორას“ კოლმეურნეობის ხედი
ლაგოდეხში, საქართველო, 1929 წ.
კუნსტკამერას კოლექცია. ©MA3 PAH 2023 წ

Collectivization is the policy of uniting individual peasant farms into collective and state farms, which was carried out in the USSR in from 1928 to 1937, a process meant to encourage farmers to participate in the collective farms (kolkhozes).

Korenizatsiia was a Soviet nationality politics announced almost simultaneously with the NEP (New economic politics) following the 12th Communist Party Congress in 1923. It remained the guiding principle of nationality policies until the late 1930s. According to korenizatsiia, the Soviet government was directed to help and develop issues related to ethnic minority nationalities; the policy was de-

ებრაული კოლმეურნეობების საკითხი საქართველოში უნდა გაანალიზდეს სსრკ-ში ებრაული კოლმეურნეობების ისტორიის ფართო კონტექსტში. საბჭოთა ებრაული მოსახლეობის აგრარულ ეკონომიკაში ჩართვის პროცესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული 1920-იანი წლების კოლექტივიზაციისა და კორენიზაციის სრულიად საბჭოთა ტენდენციებთან.

კოლექტივიზაცია — ეს იყო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების კოლექტიურ, სახელმწიფო მეურნეობებში გაერთიანების პოლიტიკა, რომელიც სსრკ-ში 1928-1937 წლებში განხორციელდა. ესაა — ფერმერების კოლმეურნეობებში (კოლხოზებში) შესვლისკენ მიმართული პროცესი.

კორენიზაცია იყო ეროვნებებზე მიმართული საბჭოთა პოლიტიკა, რომელიც ნებთან ერთად თითქმის ერთდროულად გამოცხადდა ბოლშევიკური პარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ, 1923 წელს. იგი 1930-იანი წლების ბოლომდე ნაციონალური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად რჩებოდა. კორენიზაციის თანახმად, საბჭოთა მთავრობა მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების განვითარებისა და ეროვნული საკითხების გადაჭრისკენ. პოლიტიკის მიზანი გახლდათ, წინააღმდეგობის აღმოფხვრა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებასა და კავშირში შემავალი რესპუბლიკების მკვიდრ მოსახლეობას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ებრაული კოლმეურნეობების თემაზე ლი-

Collectivization is the policy of uniting individual peasant farms into collective and state farms, which was carried out in the USSR in from 1928 to 1937, a process meant to encourage farmers to participate in the collective farms (kolkhozes).



"The Path of Collective Farm life Is the Path to Abundance!"
„კოლმეურნეობაში ცხოვრების გზას მივყავართ სიმდიდრესთან!“

კოლექტივიზაცია – ეს იყო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების კოლექტიურ, სახელმწიფო მეურნეობებში გაერთიანების პოლიტიკა, რომელიც სსრკ-ში 1928-1937 წლებში განხორციელდა. ესაა – ფერმერების კოლმეურნეობებში (კოლხოზებში) შესვლისკენ მიმართული პროცესი.

Korenizatsiia was a Soviet nationality politics announced almost simultaneously with the NEP (New economic politics) following the 12th Communist Party Congress in 1923. It remained the guiding principle of nationality policies until the late 1930s. According to korenizatsiia, the Soviet government was directed to help and develop issues related to ethnic minority nationalities; the policy was designed to smooth out the contradictions between the central government and the indigenous populations of the national republics of the USSR.

კორენიზაცია იყო ეროვნებებზე მიმართული საბჭოთა პოლიტიკა, რომელიც ნეპთან ერთად თითქმის ერთდროულად გამოცხადდა ბოლშევიკური პარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ, 1923 წელს. იგი 1930-იანი წლების ბოლომდე ნაციონალური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად რჩებოდა. კორენიზაციის თანახმად, საბჭოთა მთავრობა მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების განვითარებისა და ეროვნული საკითხების გადაჭრისკენ. პოლიტიკის მიზანი გახლდათ, წინააღმდეგობის აღმოფხვრა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებასა და კავშირში შემავალი რესპუბლიკების მკვიდრ მოსახლეობას შორის.

signed to smooth out the contradictions between the central government and the indigenous populations of the national republics of the USSR.

While the literature related to the issue of Georgian Jewish collective farms is quite limited, general works analyzing the processes of decision-making relating to the involvement of the Soviet Jewish population in the agrarian economy are crucial for understanding the context and the ideological basis of the development of Jewish collective farms in Georgia.

In this regard, the larger issue of the attachment of the Soviet Jews to the land is considered, and the discussion regarding the “territorialization” of Jewish population in the USSR. For historical reasons, Jewish population of the Soviet Union didn’t have a separate republic or territory where they lived together in dense populations.

The Jewish population of the USSR was instead dispersed everywhere across the country. According to Soviet policy of the 1920s, every nation was supposed to get its own republic within the USSR, based on the land where this nation constitutes the majority of the population.

Since the Jewish population historically didn’t have any separate territory where they represented a local majority, such a territory was supposed to be created by the authorities by resettling the population.

As the result of a series of discussions inside of the Communist Party, two large projects with the goal of organizing a “Jewish Republic” in the Soviet Union were born; namely the Crimea project and the Birobidzhan project.

ტერატურა საკმაოდ შეზღუდულია, ზოგად შრომებს, რომლებიც აგრარულ ეკონომიკაში საბჭოთა ებრაული მოსახლეობის ჩართულობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს ანალიზებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების კონტექსტისა და იდეოლოგიური საფუძვლების გასაგებად.

ამ მხრივ, ვსაუბრობთ საბჭოთა ებრაელების მიწასთან მიკუთვნებულობის უფრო დიდ თემასა და იმ დისკუსიებზე, რომლებიც სსრკ-ში ებრაული მოსახლეობის „ტერიტორიზაციის“ საკითხს ეხება. ისტორიული მიზეზების გამო, საბჭოთა კავშირის ებრაულ მოსახლეობას არ ჰქონდა ცალკე რესპუბლიკა, არც კომპაქტურად ცხოვრების ტერიტორია. ამის ნაცვლად, ებრაული მოსახლეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით იყო მიმოფანტული.

1920-იანი წლების საბჭოთა პოლიტიკის თანახმად, სსრკ-ში ყველა ერს უნდა მიეღო საკუთარი რესპუბლიკა იმ მიწაზე, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ ეს ერი შეადგენდა. ვინაიდან ებრაულ მოსახლეობას ისტორიულად არ გააჩნდა კომპაქტური ცხოვრებისთვის საჭირო ტერიტორია, ეს უკანასკნელი ხელისუფლებას მოსახლეობის გადასახლებით უნდა შეექმნა.

კომუნისტური პარტიის შიგნით ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად დაიბადა ორი დიდი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირში „ებრაული რესპუბლიკის“ სამომავლო შექმნას, ესენია — ყირიმისა და ბირობიჯანის პროექტი.

The Crimea project was an idea to create a Jewish Soviet republic in the lands of the Crimean peninsula in the 1920s.

ყირიმის პროექტი იყო 1920-იან წლებში ყირიმის ნახევარკუნძულის მიწებზე ებრაული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის იდეა.

The Birobidzhan project was the idea of resettling Jewish population to Birobidzhan in the Russian Far East, and creating a Jewish autonomous republic there. Such an entity was indeed created as an Independent Autonomous District in 1934, and it is still an administrative division of Russia.

ბირობიჯანის პროექტი იყო რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ბირობიჯანში ებრაული მოსახლეობის გადასახლებისა და იქ ებრაული ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის იდეა. ასეთი რესპუბლიკა მართლაც შეიქმნა და ის დღემდე რუსეთის ადმინისტრაციული ერთეულია.



Agro Joint, or the Joint Agricultural Corporation, was a project of the American Jewish Joint Distribution Committee, a US-based organization financed by the local Jewish community, to assist the resettlement of urban Jewish population in agricultural colonies of the Soviet Union in the period of 1924-1937.



სგროჯოინტი, იგივე გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია – ეს იყო ამერიკაში არსებული ამერიკელ ებრაელთა ერთობლივი სადისტრიბუციო კომიტეტი, რომელსაც ადგილობრივი ებრაული თემი აფინანსებდა. 1924-1937 წლებში ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში ხელს უწყობდა ურბანული სივრცეებიდან ებრაული მოსახლეობის აგრარულ დასახლებებში გადასახლებას.

The scholarly literature related to these two large projects is the primary basis of our understanding of the processes of creating the collective farms in Soviet Georgia, as this process in Soviet Georgia was a part of general policy of organizing Jewish population into collective farms everywhere in the USSR, with the future goal of resettling this population in a monoethnic republic.

Anthropologist Valery Dymshits dedicated his article “Historical Chance: The Creation of Jewish Autonomies in the Crimea, Ukraine and the Far East in the 1920s and 30s” to the aforementioned processes. He argues that the discourse about the “Jewish Soviet republic” was a logical continuation of Jewish intellectual thought of the second half of the 19th century, and a part of the ideology of “territorialism”. According to Dymshits, both the Crimean and Birobidzhan projects were aesthetically similar to the ideology of Zionism, especially in the Soviet narrative of the creation of a “new Jew”.

The Crimean project is also discussed by Arkadiy Zeltser in his work on the modernization of Soviet Jewry.

Perhaps the most important work in this regard is the book by Jonathan L. Deikel-Chen “Farming the Red Land: Jewish Agricultural Colonization and Local Soviet Power,” published by Yale University press in 2008, which is dedicated to the project of creating a Jewish Soviet Republic in Crimea. It also explores the issues of the involvement of Agro Joint in the creation of Jewish collective farms in the Black sea region.

ამ ორ დიდ პროექტთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა მთავარი საფუძველია იმისა, რომ გავიგოთ საბჭოთა საქართველოში კოლმეურნეობების შექმნის პროცესები, რადგან ეს უკანასკნელი შეადგენდა, ზოგადად, სსრკ-ში ებრაული მოსახლეობის კოლმეურნეობებში ორგანიზების ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, რომლის საბოლოო მიზანიც ებრაელთა სამომავლო გადასახლება იყო მონოეთნიკურ რესპუბლიკაში.

ანთროპოლოგმა ვალერი დიმშიცმა ზემოხსენებულ პროცესებს მიუძღვნა სტატია „ისტორიული შანსი: ებრაული ავტონომიების შექმნა ყირიმში, უკრაინასა და შორეულ აღმოსავლეთში 1920-30-იან წლებში“. ის ამტკიცებს, რომ დისკურსი „ებრაული საბჭოთა რესპუბლიკის“ შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ებრაული ინტელექტუალური ამბოვნების ლოგიკური გაგრძელებაა და „ტერიტორიალიზმის“ იდეოლოგიის ნაწილია. დიმშიცის აზრით, როგორც ყირიმის, ისე ბირობიჯანის პროექტი ესთეტიკური თვალსაზრისით ჰგავდა სიონიზმის იდეოლოგიას, რომელიც განსაკუთრებითაა გამოხატული „ახალი ებრაელის“ შექმნის შესახებ საბჭოთა ნარატივში.

ყირიმის პროექტს ასევე განიხილავს არკადი ზელცერი საბჭოთა ებრაელთა მოდერნიზაციის შესახებ თავის ნაშრომში.

ამ თემაზე, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია ჯონათან ლ. დეიკელ-ჩენის წიგნი „წითელი მიწის მეურნეობა: ებრაული სასოფლო-სამეურნეო კოლონიზაცია და ადგილობრივი საბჭოთა ძალაუფლება“, რომელიც გამოაქვეყნა იელის უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2008 წელს და რო-


Evkombed (in Georgian it is called Gharebkom) was a committee to help poor Jews; it was created in 1925, and was functioning until the late 1930s, an organization that existed in Soviet Georgia and served as a tool for the authorities to send Jews to work in industry and create economic cooperatives. It closely cooperated with GruzOZET and collective farms. GruzOZET and Evkombed were the primary agents of organizing structures and sought out for Jewish people in order to encourage them towards agricultural work.

ევკომბედი არის ღარიბი ებრაელების დახმარების კომიტეტი, რომელიც 1925 წელს შეიქმნა და ფუნქციონირებდა 1930-იანი წლების ბოლომდე. ორგანიზაცია საბჭოთა საქართველოში არსებობდა და ხელისუფლებას ებრაელების ინდუსტრიაში სამუშაოდ გაგზავნასა და საწარმოო კოოპერატივების შექმნაში ეხმარებოდა. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა გრუზოზეტთან და კოლმეურნეობებთან. გრუზოზეტი და ევკომბედი წარმოადგენდნენ მაორგანიზებელი სტრუქტურებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩასართავად ებრაელთა მოძიებისა და წახალისების მთავარ აგენტებს.



The New Economic Policy (NEP) was a set of economic policies that were pursued in the USSR during the 1920s, and involved the use of the market and various forms of ownership, attracting foreign capital in the form of concessions. This policy was announced following the 10th Communist Party Congress in 1921.

სხალი ეკონომიკური პოლიტიკა, იგივე ნეპი (Новая Экономическая Политика) არის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც 1921 წლის ბოლშევიკური პარტიის მე-10 ყრილობის შემდეგ გამოცხადდა და სსრკ-ში 1920-იან წლებში გატარდა. იგი მოიცავდა ბაზრისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უცხოური კაპიტალის მოზიდვას კონცესიების სახით.



Another valuable book is the monograph of Konstantin Mogarichev “Our New Soviet Zion”: Projects and Creation Attempts of the Jewish National Territorial Unit in Crimea (1920-1940s) published in Simferopol in 2021.


The book “Evkombed in Georgia: Historical Overview and an Analysis of their Activities” by S. Paykin, published in Tbilisi in 1933 for the fifth anniversary of Evkombed’s activities in Georgia, is full of ideological cliches and is written in propagandistic language. Nevertheless, it contains valuable information about the activities of the organization in Georgia.

A chapter about the activities Evkombed and Ozet in Soviet Georgia is also

მელიც ეძღვნება საბჭოთა ებრაული რესპუბლიკის შექმნის ყირიმის პროექტს. იგი ასევე იკვლევს შავი ზღვის რეგიონის ებრაული კოლმეურნეობების შექმნაში აგროგაერთიანებების მონაწილეობის საკითხებს.

აგროჯონთი, იგივე გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია — ეს იყო ამერიკაში არსებული ამერიკელ ებრაელთა ერთობლივი სადისტრიბუციო კომიტეტი, რომელსაც ადგილობრივი ებრაული თემი აფინანსებდა. 1924-1937 წლებში ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში ხელს უწყობდა ურბანული სივრცეებიდან ებრაული მოსახლეობის აგრარულ დასახლებებში გადასახლებას.

კიდევ ერთი ღირებული წიგნია კონსტანტინე მოგარიჩევის მონოგრაფია „ჩვენი საბჭოთა სიონი: ებრაელთა ეროვნული ტერიტორიული ერთეულის პროექტები და შექმნის მცდელობები ყირიმში (1920-1940-იანი წლები)“, რომელიც გამოქვეყნდა სიმფეროპოლში 2021 წელს.



From the archives of Mark Plisetskiy's expedition. The head office of the Tsetli Gora collective farm. Collection of Kunstkamera. ©MA3 PAH 2023
მარკ პლისეცკის ექსპედიციის არქივიდან. „წითელი გორას“ კოლმეურნეობის სათაო ოფისი. კუნსტკამერას კოლექცია. ©MA3 PAH 2023 წ.

contained in a book by Mark Plisetskiy, "Religiya i byt Gruzinskikh Evreev," "The Religion and Customs of Georgian Jews" published by the "Moskovskiy Rabochiy" printing house in 1931. This book is based on the author's ethnographic expeditions to Georgia in 1929 and 1930.

Very little information is available on monoethnic collective farms in Georgia. Nevertheless, this was one of the important political processes of the last century, and one of the epicenters of cultural-economic transformations after the announcement of new economic policy and new national political line of korenizatsiia in the entire Soviet Union.

Last but not least, an article fully dedicated to the first Jewish collective farm established in Georgia- Tsiteli Gora collective farm in Lagodekhi- was published in 1940 by the Jewish Historical Ethnographic Museum. It is the only Georgian-language article that refers to the Jewish collective farm of Tsiteli Gora named after comrade Vano Sturua. The article was written in 1940 by Ioseb Kurchishvili, who himself used to work in Evcombed.



საქართველოში ევკომბედის მოღვაწეობის მეხუთე წლისთავისადმი თბილისში 1933 წელს გამოქვეყნებული ს. პაიკინის წიგნი „ევკომბედი საქართველოში: ისტორიული მიმოხილვა და საქმიანობის ანალიზი“ სავსეა იდეოლოგიური შტამპებით და პროპაგანდისტული ენით. მიუხედავად ამისა, იგი ღირებულ ინფორმაციას მოიცავს საქართველოში ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

საბჭოთა ევკომბედისა და ობეტის საქართველოში საქმიანობას ეხება ასევე მარკ პლისეტსკის ნაშრომში „Религия и быт Грузинских Евреев“ [ქართველი ებრაელების რელიგია და ყოფა] ერთ-ერთი თავი. წიგნი გამოსცა სტამბამ „Московский Рабочий“ 1931 წელს. ეს წიგნი ეფუძნება ავტორის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს საქართველოში 1929-1930 წლებში.

მონოეთნიკურ კოლექტივებზე საქართველოში ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება. მიუხედავად ამისა, საქართველო გასული საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის, კორენიზაციის შემდგომი კულტურულ-ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთ ეპიცენტრია მთელ საბჭოთა კავშირში.

ერთ-ერთი ბოლო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი სტატია 1940 წელს ებრაული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ნაშრომებში გამოქვეყნდა. იგი ეძღვნება საქართველოში, კერძოდ, ლაგოდეხში დაარსებულ პირველ ებრაულ კოლმეურნეობას — „წითელ გორას“. ის ერთადერთი ქართულენოვანი სტატიაა, რომელიც „წითელი გორას“ ებრაულ

The article is partly based on archival documents which the state and the Jewish Historical Ethnographic Museum gave the author access to. Kurchishvili starts his article at the end of the 1920s, and completes the history of the Tsiteli Gora collective farm based on the data of 1940. Therefore the basic and general processes and problems that characterized the monoethnic collectivization of all-Soviet Georgia of that period are not visible in this work.

This article, in accordance with the epoch and the requirements of the time, is full of propaganda nostrums, but as it is based on the author's own research, it remains an important point of reference for those who want to learn more about the history of Jewish collective farms in Georgia.

CRITIQUE OF SOURCES

The research team undertook serious work in the Georgian National Archives, collected and analyzed hundreds of documents related to the history of Jewish collective farms and the early Soviet history of Jewish life in Georgia. These were mostly documents of an official character kept in the archival records of the two primary organizations functioning in the researched period in Soviet Georgia - Evkombed and GruzOZET.

The research team tried to review the relationship between local and central government, the decision-making process, and the general policy of resettlement and the creation of a strong agricultural sector in Soviet Georgia.

კოლმეურნეობას ეხება. კოლმეურნეობა ამხანაგ ვანო სტურუას სახელობისა იყო. იგი 1940 წელს დაწერა იოსებ ქურჩიშვილმა, რომელიც თავად მუშაობდა „ევკომბედში“.

სტატია ნაწილობრივ ეფუძნება საარქივო დოკუმენტებს, რომლებზეც წვდომა ავტორს სახელმწიფომ და ებრაულმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მისცა. ქურჩიშვილი სტატიას იწყებს 1920-იანი წლების ბოლოდან და „წითელი გორას“ კოლმეურნეობის ისტორიას 1940 წლის მონაცემებზე დაყრდნობით ავსებს. ამდენად, ის ძირითადი და ზოგადი პროცესები და პრობლემები, რითაც იმდროინდელი საბჭოთა საქართველოს მონოეთნიკური კოლექტივიზაცია ხასიათდებოდა, ამ ნაშრომში არ ჩანს.

ეს სტატია, ეპოქისა და დროის მოთხოვნების შესაბამისად, სავსეა პროპაგანდისტული შტამებით, მაგრამ, რამდენადაც იგი ეფუძნება ავტორისეულ კვლევას, ის მნიშვნელოვან წყაროდ რჩება მათთვის, ვისაც სურს მეტი გაიგოს საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების ისტორიის შესახებ.

წყაროების კრიტიკა

მკვლევართა ჯგუფმა საფუძვლიანად იმუშავა საქართველოს ეროვნულ არქივში, შეაგროვა და გააანალიზა ასობით დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ებრაული კოლმეურნეობების ისტორიასთან და საქართველოში ებრაელთა ცხოვრების ადრეულ საბჭოთა პერიოდთან. ძირითადად, ეს იყო ოფიციალური ხასიათის

In the center of the book authors' attention were the documents which can shed light on the history of Jewish collective farms, including the following issues: Jewish life on the collective farms, the organizational process of resettling, and the creation of Jewish committees in Georgia which were supposed to search for possible lands and areas for future collective farms. Local Soviet Jewish workers committees were established in order to be part of the land research process, from the beginning of the creation of collective farms in the 1920s with government and communist authorities, and these committees became active members of collective farms later on.

During the archival work, we were able to identify 3 types of documents that we regularly encountered.

The first type are statements and applications of citizens to Evkombed [Komitet pomoshi evreiskoi bednote, or the Committee of Assistance the Jewish Poor] and GruzOZET [Zemel'noe ustroistvo trudiashchikhsia evreev or the Settlement of Tiling Jews] where the citizens would ask various types of help or assistance.

The second type of documents are the resolutions of Evkombed conferences and meetings, where all ideas and directions of Jewish collectivization politics were brought together and discussed. In these documents, the direction of general central Soviet policy on issues of monoethnic collective farms are clearly visible.

დოკუმენტები, რომლებიც ინახება საკვლევ პერიოდში საბჭოთა საქართველოში მოქმედი ორი ძირითადი ორგანიზაციის — ევკომბედისა და გრუზოზეტის საარქივო ფონდებში.

კვლევაში შევეცადეთ დავკვირვებოდით ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და საბჭოთა საქართველოში განსახლებისა და ძლიერი აგრარული სექტორის შექმნის ზოგადი პოლიტიკის მიმდინარეობას.

საარქივო კვლევის დროს გავეცანით დოკუმენტებს, რომლებმაც შესაძლოა ნათელი მოჰფინონ ებრაული კოლმეურნეობების ისტორიას, მათ შორისაა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ებრაელთა ცხოვრება კოლმეურნეობებში, განსახლების საორგანიზაციო პროცესი და ებრაული კომიტეტების შექმნა, რომლებთაც უნდა მოეძიათ შესაძლო მიწები და ტერიტორიები სამომავლო კოლმეურნეობების დასაარსებლად. ადგილობრივი საბჭოთა ებრაული კომიტეტები 1920-იან წლებში კოლმეურნეობებთან ერთად დაარსდნენ, რათა მთავრობასთან და კომუნისტურ ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ მიწების მოძიების პროცესში. ეს კომიტეტები მოგვიანებით თავად იქცნენ კოლმეურნეობების მნიშვნელოვან წევრებად.

საარქივო მუშაობის დროს შევძელით სამი ტიპის დოკუმენტის ამოცნობა.

მათგან პირველია მოქალაქეების მიერ „ევკომბედსა“ [Комитет помощи еврейской бедноте, ე.ი. ღარიბ ებრაელთა დახმარების კომიტეტი] და „გრუ-



Tobacco storage. Tsiteli Gora collective farm, 1929. Kunstkamera collection. ©МАЭ РАН 2023

თამბაქოს საწყობი. „წითელი გორას“ კოლმეურნეობა, 1929 წ. კუნსტკამერას კოლექცია. ©МАЭ РАН 2023 წ.

The third type of documents are organizational papers and orders where we can easily see what was the communication style between the central and local Evkombed and GruzOZET committees. We can see very polite and formal language that was always used for communications. Russian, Georgian and Yiddish were widely used languages for official documentation. In particular, Yiddish was used not only in documents related to the Jewish community (especially in the letters from Agro Joint) and its organizational life, but also broadly, popular events such as concerts, plays and other cultural events in Yiddish.

It was especially interesting for the research team to see and analyze the telegraphic correspondences showing communication between these structures, which clearly show the form of mutual communication between state and party institutions.

Another valuable corpus of sources used in the current study is oral history interviews. The book's authors with the collaboration of our dear colleague, his-

ზომეტისთვის“ [Земельное устройство трудящихся евреев, ე.ი. მშრომელი ებრაელების დასახლება] გაგზავნილი განცხადებები, სადაც მოქალაქეები ითხოვდნენ სხვადასხვა სახის დახმარებას.

მეორე ტიპის დოკუმენტებია ევკომბედის კონფერენციებისა და შეხვედრების რეზოლუციები, სადაც თავს იყრიდა და განიხილებოდა ებრაელთა კოლექტივიზაციის პოლიტიკის ყველა იდეა და მიმართულება. ამ დოკუმენტებში აშკარად ჩანს ცენტრალური საბჭოთა პოლიტიკის ზოგადი მიმართულება მონოეთნიკური კოლმეურნეობების საკითხებთან დაკავშირებით.

მესამე ტიპის დოკუმენტები — საორგანიზაციო დოკუმენტები და ბრძანებებია, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორი იყო კომუნიკაციის სტილი ცენტრალურ და ადგილობრივ ევკომბედისა და გრუზომეტის კომიტეტებს შორის. აქ შესამჩნევია თავაზიანი და ფორმალური ენა, რომელსაც ყოველთვის მიმართავდნენ კომუნიკაციისას. ოფიციალურ დოკუმენტაციაში რუსული, ქართული და იდიშური ფართოდ გამოიყენებოდა. მაგალითად, იდიშური გამოიყენებოდა არა მხოლოდ ებრაულ თემთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა (განსაკუთრებით, აგროჯოინტის წერილებში) და თემის ორგანიზაციულ ცხოვრებაში, არამედ ფართოდ გავრცელებული იყო კონცერტებზე, სპექტაკლებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე.

ასევე საინტერესო იყო სტრუქტურებს შორის კომუნიკაციის ამსახველი სატელეგრაფო მიმოწერები, რომლებიც ნათლად

torian Ketí Chikviladze, collected 20 oral history interviews during field trips in Lagodekhi, Tseli Gora, Ulianovka and Kulashi. These interviews were taken with local non-Jewish populations, as the Jewish population left provincial localities around Georgia, especially the territories of former collective farms, in the 1970s and again in the 1990s.



Tseli Gora, probably a former Jewish house.
Photo by Yulia Oreshina

**„წითელი გორა“, ალბათ ყოფილი
ებრაული სახლი. იულია ორეშინას ფოტო**

It is clear that both archival and oral history sources used for the current book are incomplete, and have a number of limitations. First of all, the archival documents are often too official and impersonal, and in many cases the book authors should only guess how the real people's life looked during the research period, based on their applications and letters to the authorities.

On the other hand, oral history inter-

ასახვენ სახელმწიფო და პარტიული ინსტიტუტების ურთიერთობის ფორმას.

მოცემული კვლევა ღირებულ წყაროდ ზეპირ ისტორიებსაც იყენებს. წიგნის ავტორებმა ჩვენს ძვირფას კოლეგასთან, ისტორიკოს ქეთი ჩიკვილაძესთან თანამშრომლობით, გასვლითი ექსპედიციის დროს ჩაწერილი ინტერვიუების საშუალებით, შეაგროვეს არაერთი ზეპირი ისტორია ლაგოდეხში, „წითელ გორაში“, ულიანოვკასა და კულაშში. ჯამში მოხერხდა 20 ინტერვიუს ჩაწერა ადგილობრივ არაებრაულ მოსახლეობასთან, რადგან მათ საქართველოში არსებული მცირე დასახლებები და, განსაკუთრებით, ყოფილი კოლმეურნეობების ტერიტორიები 1970-იან და შემდეგ 1990-იან წლებში დატოვეს.

ნათელია, რომ როგორც საარქივო, ისე ზეპირი ისტორიის წყაროები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე წიგნისთვის, არასრულია და მათ აქვთ მთელი რიგი შეზღუდვები. უპირველეს ყოვლისა, საარქივო დოკუმენტები ხშირად ზედმეტად ოფიციალურია და მათში არ ჩანს ადამიანი, შესაბამისად, მათი განცხადებებისა და ხელისუფლების მიმართ წერილების საფუძველზე, ხშირ შემთხვევაში, გვიწევს ვივარაუდოთ, თუ როგორი იყო რეალურად ადამიანების ცხოვრება საკვლევ პერიოდში.

მეორე მხრივ, ყოფილი კოლმეურნეობების ადგილებზე შეგროვებულ ზეპირ ისტორიებსაც აქვთ თავიანთი ნაკლოვანებები — იშვიათად შევხვდებით იმ ადამიანებს, რომლებიც რეალურად ცხოვრობ-

views collected in the localities of former collective farms also have their limitations; for instance, we could rarely reach the people who actually lived in the area during the existence of the collective farms. Moreover, as none of our interlocutors were Jewish, these interviews still showed us the picture from an outsider's perspective. Nevertheless, the collected resource base was sufficient for the purposes of the study which you have in your hand and will, hopefully, encourage more research on the area.

დნენ ამ ტერიტორიაზე კოლმეურნეობის არსებობის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ჩვენი თანამოსაუბრე არ იყო ებრაელი, ეს ინტერვიუები და შეგროვებული მასალები საკმარისი აღმოჩნდა, რათა მიგვეღწია კვლევის მიზანს და, იმედია, წინამდებარე გამოცემა კიდევ უფრო მეტად წაახალისებს ამ მიმართულებით კვლევის მსურველთ.

CHAPTER 1

JEWISH HISTORY OF GEORGIA. AN OVERVIEW

When we are talking about Jewish collective farms in Soviet Georgia, we should take into account that these collective farms were created in a Soviet Republic with its own very particular and unique Jewish history and Jewish community.

The majority of people who united to create Jewish collective farms in Georgia were Georgian Jews. Historically, a small Ashkenazi community has lived in the country, and the majority of Ashkenazi Jews came to Georgia starting in the 19th century.

The Soviet period, and especially World War II and the early process of industrialization had a major effect on the Jewish community, resulting in the enlargement of the Ashkenazi community as the result of resettlement from other parts of the USSR. Nevertheless, most of the people active on the Jewish collective farms in Soviet Georgia came from the Georgian Jewish milieu.

Georgian Jews are a unique and ancient community, distinct from other Jewish Diasporas. It is one of the oldest diaspora communities in the world, dating back to the first century B.C.E, and perhaps even earlier.

According to the Georgian historical tradition, Jews have been living on the territory of Georgia for about 26 centuries.

Georgian chronicles of the 11th centu-

თავი 1

საქართველოს ებრაული ისტორია. მიმოხილვა

როდესაც ვსაუბრობთ საბჭოთა საქართველოში ებრაულ კოლმეურნეობებზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს კოლმეურნეობები საბჭოთა რესპუბლიკაში დაარსდნენ თავიანთი განსაკუთრებული და უნიკალური ებრაული ისტორიითა და ებრაული თემით.

საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების შესაქმნელად გაერთიანებული ადამიანების უმრავლესობა ქართველი ებრაელები იყვნენ. მცირე აშქენაზი თემი ისტორიულად ყოველთვის ცხოვრობდნენ ქვეყანაში, თუმცა მათმა უმრავლესობამ საქართველოში მე-19 საუკუნიდან იწყო ჩამოსვლა.

საბჭოთა დრომ, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდმა და ინდუსტრიალიზაციის პროცესებმა, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია აშქენაზი თემის გაფართოებაზე — ისინი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოდიოდნენ და კოლმეურნეობებში ერთიანდებოდნენ, თუმცაღა საბჭოთა საქართველოში ებრაულ კოლმეურნეობებში მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველი ებრაელები იყვნენ.

ქართველი ებრაელები უნიკალური და უძველესი სამოგადოებაა, რომელიც განსხვავდება სხვა ებრაული დიასპორებისაგან.

ry, for example, “Kartlis Tskhovreba” [Life of the Kartli] and “The Life of St. Nino” report that the first Jews came to the territory of Kartli, a region of Georgia, and settled there when the Babylonian king Nebuchadnezzar destroyed the first temple and expelled the Jews from Jerusalem in 586 BC.

Leonti Mroveli, the compiler of an 11th century chronicle, wrote: “After a long time, King Nebuchadnezzar invaded Jerusalem. The Jews who fled from there came to Kartli; they began to ask the rulers of Mtskheta, that time’s capital, to give them land and the imposed tribute on them. The rulers gave it to them, and settled them in the Aragvi gorge, near a spring called Zanavi. The land that they held on the condition of paying tribute is now called Zanavi.



View of Mtskheta from Jvari monastery.
Photo: Yulia Oreshina

მცხეთის ხედი ჯვრის მონასტრიდან.
იულია ორეშინას ფოტო

Vakhushti Batonishvili (18th century) wrote about the same event: “And the Jews expelled by Nebuchadnezzar came again, and the rulers of Mtskheta also settled them in Kherki, north of Aragvi.” As we can see, he writes that under Nebuchadnezzar the Jews “came again”, which

ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი დიასპორული საზოგადოება, რომელიც თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნით და შესაძლოა უფრო ადრეც.

ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ებრაელები საქართველოში დაახლოებით 26 საუკუნეა ცხოვრობენ.

მე-11 საუკუნის ქართული ქრონიკები, როგორებიცაა: „ქართლის ცხოვრება“ და წმინდა ნინოს ცხოვრება, გვაუწყებენ, რომ ქართლის ტერიტორიაზე პირველი ებრაელები მოხვდნენ და დასახლდნენ მას შემდეგ, რაც ბაბილონელმა მეფემ ნაბუქოდონოსორმა ძვ.წ. 586 წელს პირველი ტაძარი გაანადგურა და იერუსალიმიდან ებრაელები განდევნა.

მე-11 საუკუნის ქრონიკის შემქმნელი ლეონტი მროველი წერდა: „...და გამოვდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვან ხერკ ხარკისა მისთვის“.

ვახუშტი ბატონიშვილი (მე-18 ს.) ამავე მოვლენაზე წერდა: „და მოვიდნენ ისევ ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილი ებრაელები და დაასახლა ისინი მცხეთის უხუცესმა ხერკში, არაგვის ჩრდილოეთ ნაწილში“. როგორც ვხედავთ ნაბუქოდონოსორის პერიოდის ებრაელებზე ის წერს: „ისევ მოვიდნენ“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბატონიშვილის მოსაზრებით, ებრაელები საქართველოში უფრო ადრე დასახლდნენ.

indicates that Batonishvili believed that the Jews arrived in Georgia earlier.

Chronicles also speak of the existence of several waves of Jewish settlers between the first century BC and the first century AD.

In the ancient Georgian historical monument “The Conversion of Georgia to Christianity”, another version of the date of the appearance of Jews in Georgia is recorded; 169 BC, which coincides with the reign of the Seleucid king Antiochus IV (175-163), whose policies led to the uprising in Judea and the Maccabean wars.

Georgian legends associate the next wave of Jewish migration to Georgia with the capture of Jerusalem by the Roman emperor Vespasian in 70.

However, the first material evidence that Jews lived on the territory of Georgia, namely in Mtskheta and Urbnisi, refers only to the first centuries of our era.

As a result of archaeological excavations of the ancient necropolis of Samtavro in Mtskheta, the ancient capital of Georgia, carried out back in 1872 and in 1938, two tombstones with Hebrew inscriptions dated to the 4th-5th centuries AD were found. One of these stones is now on display at the Museum of the History of Georgian Jews named after David Baazov, and the second is in the storage of the National Museum of Georgia.

მატიანეები ასევე იუწყებიან ებრაული გადმოსახლების რამდენიმე ტალღის შესახებ, რაც ძვ.წ. აღრიცხვის პირველი საუკუნიდან ახ.წ. აღრიცხვის პირველი საუკუნის პერიოდებს მოიცავს.

ძველქართულ ისტორიულ ძეგლში „მოქცევაი ქართლისაი“ დაფიქსირებულია ებრაელების საქართველოში გაჩენის თარიღის კიდევ ერთი ვარიანტი. ეს გახლავთ ძვ.წ. 169 წელი, რაც ემთხვევა სელევკიდების მეფის ანტიოქე IV (175-163 წწ.) მმართველობის პერიოდს, რომლის პოლიტიკამაც იუდეაში აჯანყება და მაკავეის ომები გამოიწვია.

ქართული ლეგენდების თანახმად, ებრაელების საქართველოში გადმოსახლების შემდეგი ტალღა უკავშირდება ახ. წ. 70 წელს რომელი იმპერატორის ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის აღებას.

მიუხედავად ამისა, პირველი მატერიალური წყაროები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ებრაელები ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, კონკრეტულად მცხეთასა და ურბნისში, მიეკუთვნებიან ახ.წ. პირველ საუკუნეს. მცხეთაში, კერძოდ კი — სამთავროში, 1872 და 1938 წლებში ჩატარებული სამარხების არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილ იქნა ორი საფლავის ქვა ივრითული დამწერლობით, რომლებიც თარიღდებოდა ახ.წ. მე-4-მე-5 საუკუნეებით. ამ ქვათაგან ერთ-ერთი დავით ბააზოვის სახელობის ქართველი ებრაელების ისტორიის მუზეუმშია გამოფენილი, მეორე კი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავში ინახება.





Tsiteli Gora area. Contemporary View. Photo by Yulia Oreshina

„წითელი გორას“ ტერიტორია.
თანამედროვე ხედი. იულია ორეშინას
ფოტო

თავი 4

ებრაული კოლმეურნეობა „წითელი გორა“

საქართველოში კოლმეურნეობების ჩამოყალიბება 1926-1928 წლებში კახეთიდან დაიწყო, სადაც 1928 წელს ებრაული კოლმეურნეობა „წითელი გორა“ ჩამოყალიბდა.¹ „წითელი გორას“ კოლმეურნეობა ერთადერთი ებრაული კოლმეურნეობა იყო, რომელიც 1930-იანი წლების ბოლოს ომეტის ლიკვიდაციის შემდეგ განაგრძობდა ფუნქციონირებას.

„წითელი გორა“ 1926-1927 წლებში მიწის განვითარების საქართველოს ებრაელთა საზოგადოება — «საქმემსის» (გრუზობეტი) დაფუძნების შემდეგ მალევე შეიქმნა.² კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ადგილობრივმა შტომ ათასობით კილომეტრი მიწა და მილიონობით სახსრები გამოყო მონოეთნიკური კოლმეურნეობების შექმნისა და ხელშეწყობისთვის. კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ ადგილობრივ ებრაულ თემში მალევე დაიწყო ინფორმაციის გავრცელება.

ებრაული კოლმეურნეობისთვის გამოიყო 13 კვ კმ მიწის ფართობი, რომელიც ლაგოდეხის სოფელ ულიანოვკიდან 5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა.³

კახეთის სხვადასხვა სოფლიდან რამდენიმე ღარიბი ებრაელი შეიკრიბა, რომელთაც ყოფილი ვაჭარი აბრაამ ჯინჯიხაშვილი მეთაურობდა. მათ ადგი-

A few poor Jews from different villages in Kakheti, led by the former merchant Abraham Jinjikhashvili, gathered and presented their current situation to the local government and party representatives⁴.

GruzOZET started to create the material and technical foundation; a survey of the land was planned by agronomists and doctors. The documents say that, as in other regions of Georgia, Tsiteli Gora needed to organize a melioration, and carry out other technical work before the collective farm would begin operations there⁵.

Later, local activists, with a small group of supporters, went around Kakheti in search of people willing to join the collective farm⁶.



Tsiteli Gora area. Contemporary View. Photo by Yulia Oreshina

„წითელი გორას“ ტერიტორია.
თანამედროვე ხედი. იულია ორეშინას
ფოტო

Finally, Jews from different parts of Georgia joined the Tsiteli Gora collective farm. State subsidies were given to those who moved to the collective farm to build houses that would allow them to relocate with their families⁷.

Respondent D: A Jew lived here, a Jew lived there, a Jew lived in that house too.

K: So Jews actually lived on this street?

Respondent D: This is the Jewish quarter, the Jewish quarter was here.

ლობრივ ხელისუფლებასა და პარტიის წარმომადგენლებს თავიანთი მდგომარეობა გააცნეს.⁴

მდგომარეობის გაცნობის შემდგომ გრუზოზეტმა დაიწყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, დაიგეგმა აგრონომებისა და სპეციალისტების მიერ მიწების შესწავლა. დოკუმენტებში ნათქვამია, რომ როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, „წითელ გორასაც“ დასჭირდება მელიორაციის მოწესრიგება და სხვა ტექნიკური სამუშაოების ჩატარება, ვიდრე იქ სრულყოფილად დაიწყებს ფუნქციონირებას კოლექტიური მეურნეობა.⁵

შემდგომ ადგილობრივმა აქტივისტებმა მხარდამჭერთა მცირე ჯგუფთან ერთად მთელი კახეთი მოიარეს კოლმეურნეობაში გაწევრიანების მსურველთა მოსაკრებად.⁶

საბოლოოდ, კოლმეურნეობას შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ებრაელები. „წითელი გორას“ კოლმეურნეობაში გადასულებს სახელმწიფო სუბსიდია გადაეცათ სახლების ასაშენებლად, რათა მათ ოჯახებთან ერთად გადასახლების საშუალება მისცემოდა.⁷

რესპონდენტი დ.: აქეთაც ებრაელი ცხოვრობდა, იქეთაც ებრაელი ცხოვრობდა, იმ სახლშიდაც ებრაელი ცხოვრობდა.

ინტერვიუერი: ანუ, ამ ქუჩაზე ფაქტიურად ებრაელები ცხოვრობდნენ?

რესპონდენტი დ.: ეს არის ებრაელების უბანი, ებრაელების უბანი იყო აქ.

ინტერვიუერი: ანუ, ებრაელებს თავისი უბანი ჰქონდათ აქ?

K: So the Jews had their own neighborhood here?

Respondent D: Yes, yes. They had their own district

K: What was the name of this area?

Respondent D: It was called Tsiteli Gora and has been called that since time immemorial.

K: Was this area called the Jewish quarter?

Respondent D: Yes, it was called the Jewish collective farm Tsiteli Gora, and 99 percent of Jews lived in this area⁸.

In 1929, the farmers of Tsiteli Gora were able to build 15 two-story dwellings housing 25 families. By 1930, there were already 40 households in the collective farm, while by 1940 there were already 82 households. There was also a school oriented around the Soviet policy of the “elimination of illiteracy”, a kindergarten, and a medical center⁹.



The building of a former cultural center in Tsiteli Gora. Contemporary view.

Photo by Yulia Oreshina

„წითელი გორას“ ყოფილი კულტურის ცენტრის შენობა. თანამედროვე ხედი. იულია ორეშინას ფოტო

Tsiteli Gora territory has been liked by the Jewish People’s Commission, too; however, as we have already mentioned, before the establishment of collective farms, it was necessary to carry out a number of reclamation and other agronomic

რესპონდენტი დ: კი, კი. თავისი უბანი ჰქონდათ.

ინტერვიუერი: რა ერქვა ამ უბანს?

რესპონდენტი დ.: „წითელ გორი“ ერქვა და ქვია ოდითგანვე.

ინტერვიუერი: ებრაელების უბანს ეძახდნენ ამ უბანს?


რესპონდენტი დ.: კი, არა, ებრაელების „წითელ გორს“ ეძახდნენ და ისე 99 პროცენტი ცხოვრობდა ებრაელი... ამ უბანში.⁸

1929 წელს „წითელი გორას“ ფერმერებმა შეძლეს აეშენებინათ 15 ორსართულიანი საცხოვრებელი, სადაც 25 ოჯახი ცხოვრობდა. 1930 წლისთვის კოლმეურნეობაში უკვე 40 კომლი იყო, ხოლო 1940 წლისთვის ეს ციფრი 82-მდე გაიზარდა. აქვე იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა, საბავშვო ბაღი და სამედიცინო პუნქტი.⁹

„წითელი გორას“ ტერიტორია მოიწონა ებრაელთა სახალხო კომისიამ, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტიური მეურნეობების მოწყობამდე საჭირო იყო მთელი რიგი მელიორაციული და სხვა აგრონომიული კვლევებისა და სამუშაოების ჩატარება.¹⁰ ეს გარდაუვალი იყო, რადგან, „წითელი გორას“ ტერიტორია დაფარული იყო გაუვალი ტყეებითა და ჭაობებით, რაც ასევე მაღარიისა და სხვა დავადებათა გავრცელების წყაროს წარმოადგენდა, საჭირო იყო მიწების დაშრობა.¹¹

ებრაელები „წითელი გორას“ ებრაულ კოლმეურნეობაში სამუშაოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან — რაჭის მაღალმთიანეთიდან თუ დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებიდან ჩამოდიოდნენ.

studies and activities¹⁰. This was inevitable because, for example, the Tsiteli Gora territory was covered by impassable forests and swamps, which were also a source of malaria and other diseases. There was a necessity of draining the local swamps¹¹.



Jewish peasant asks to be provided by theoretical knowledge to start work
ებრაელი გლეხი ითხოვს პროფესიულ მომზადებას სამუშაოს დასაწყებად

Jews from all over Georgia, the Racha Highlands and other areas of Western Georgia worked in the Jewish collective farm of Tsiteli Gora. The main reason for the popular desire to join the collective farm was general poverty among the republic's Jewish population, and, therefore, the collective farm was considered one of the primary methods to solve material problems.

Respondent D: They [Jews] lived here.... This village is a completely new village, it was established sometime in 1920, and they lived here like this, this, this, that... They were the indigenous population of this village (smiles). Guess what?

Respondent D: They lived here, how can they not. In all the houses here... it is a rare house where no one lives. There were many small houses, built in the old style.

ამის ძირითადი მიზეზი სიღარიბე იყო და კოლექტივი მიიჩნეოდა მატერიალური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად.

რესპონდენტი დ.: ესენი [ებრაელები] აქ ცხოვრობდნენ... ეს სოფელი ახალი სოფელი არის მთლიანად, სადღაც, ესე, 1920 წლიდან არის დაარსებული და ეგენი აქ ცხოვრობდნენ, როგორც, აი, როგორც, აი, ისე რა... აი, ამ სოფლის ძირძველი მოსახლეობა იყო (იღიმის).

რესპონდენტი დ.: ცხოვრობენ, როგორ არა. აქ, ყველა სახლში... იშვიათი სახლია, რომ არავინ ცხოვრობდეს. ბევრი პატარა სახლები იყო, აი, ძველ სტილზე აშენებული. ისინი დაინგრა, ამ სოფელში, აი, იქით მხარეს ცარიელი მინდორია, იქით ცარიელი ადგილებია დარჩენილი, იქაც პატარ-პატარა სახლები იყო, დაიშალა. ლეკებს ჰქონდათ ნაყიდი, მერე ლეკები რომ წავიდნენ, იმის ყიდვა აღარავის უნდოდა და მიატოვეს.

ინტერვიუერი: და რას საქმიანობდნენ აქ ებრაელები? რას აკეთებდნენ?

რესპონდენტი დ.: ყველაფერს, როგორც ჩვენ. კოლმეურნეობა იყო იმ პერიოდში, ყველა მუშაობდა კოლმეურნეობაში. მაშინ საბჭოთა კავშირი ვაჭრობას კრძალავდა, მაგრამ კარგი მიდრეკილება ჰქონდათ, მაგ მხრივ, ძალიან კარგი, ძალიანაც კარგი იყო, სხვათა შორის. ძალიან კარგი იყო, თუ რამე შემოდიოდა, რამე ახალი სტილის რამე, სხვაგან არ ჰქონდათ ნანახი, ჩვენი სოფლელები გამოდიოდნენ ყველაზე კარგად.

ინტერვიუერი: ანუ, თქვენთან, „წითელ გორაშიც“ ვაჭრობდნენ? იმიტომ რომ...

რესპონდენტი დ.: ყველგან ვაჭრობ-

They were destroyed. In this village, there is an empty field on the other side, there are empty places there, there were also small houses, they were destroyed. The Leks {Daghestani} had bought it, and then when the Leks left, no one wanted to buy it, and they left it.

K: And what were the Jews doing here? What were they doing?

Respondent D: Everything, like us. It was a collective farm at that time, everyone worked in a collective farm. At that time, the Soviet Union prohibited trade, but they had good habits in this regard, very good, by the way, it was very good. It was very good, if something came in, something new, something they had not seen anywhere else, our villagers performed the best.

K: So they traded with you in Tsiteli Gora as well? Because ...

Respondent D: They traded everywhere, everywhere (we laughed). There was a year when they did not trade, and there was a year when they traded, but they knew everything at such a level that no one complained about them. They did not arrest anyone from my village, because they lived honestly. None of them were robbers, none of them were hooligans, none of them were in prison. I can guarantee you that they lived honestly at that level... (we all laughed)¹²

As an article by Ioseb Kurchishvili, an employee of Evkombed (Jewish collective farm, "Tsiteli Gora") informs us, the Jews had to choose between two possibilities before they started work; either everyone was supposed to measure their land and work for themselves and create a small fragmented farm, or they would combine the lands, and form a collective farm. Of course, one should take into account that

დნენ ეგენი, სულ ყველგან (გაგვეცინა). იყო ის წელი, რომ არ ვაჭრობდნენ, და იყო ის წელი, რომ ვაჭრობდნენ, მაგრამ ყველაფერი იცოდნენ იმ დონეზე, რომ მაგათთვის არავის არ უჩივლია. ჩემი სოფლიდან არავინ არ დაუჭერიათ იმიტომ, რომ პატიოსნად ცხოვრობდნენ. არც ერთი არ ყაჩაღობდა, არც ერთი არ ხულიგნობდა, ციხეში არც ერთი არ არის ნაჯდომი. მაგის გარანტიას ვაძლევთ, იმ დონეზე პატიოსნად ცხოვრობდნენ (ყველამ გავეცინეთ).¹²

როგორც იოსებ ქურჩიშვილის, ევკომბედის (ებრაელთა კოლმეურნეობა „წითელი გორა“) ყოფილი თანამშრომლის სტატია გვამცნობს, ებრაელებს უნდა აერჩიათ მუშაობის დაწყების ორი შესაძლებლობა. ან ყველას თავისი მიწა უნდა აეზომა, თავისთვის ემუშავა და წვრილი, მცირე მეურნეობა შეექმნა, ან მიწები გაერთიანებინათ და დიდი კოლმეურნეობა ჩამოეყალიბებინათ. რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 1940 წელს დაწერილი ქურჩიშვილის სტატიაში გამოყენებულია საბჭოთა პროპაგანდისტული ენა და რიტორიკა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტატიის დაწერის დროს, 1940-იან წლებში საეჭვოა, რომ მათ არჩევანის უფლება ჰქონოდათ, რამდენადაც „წითელი გორას“ კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პროცესი და გადაწყვეტილება ყველა დონეზე სრულად კონტროლსა და გავლენას ექვემდებარებოდა ისე, რომ, ფაქტობრივად, ის თავად პარტიამ და მთავრობამ შექმნა. ებრაელებზე მიმართული პოლიტიკა ცენტრიდან ნაკარნახევი პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა. თუმცადა ხსენებული პოლიტიკა ჩვენ უკვე კორენი-

Kurchishvili's article was written in 1940, and used a lot of Soviet propaganda language and rhetoric.

It should be noted that when the article was written by Kurchishvili in the 1940s, it mentioned that Jews had a choice regarding the land issue. It is doubtful, frankly, that they had the right to choose, since the process of forming the collective farm in Tsiteli Gora was completely controlled and influenced every decision and at every level of the processes. It was done by the party and the government whose policy regarding the Jews was determined from the policy dictated from the center. The central politics was discussed above in the chapter about korenizatsiia and the NEP. Nevertheless, the data on the financial and material condition of the collective farm are more reliable.

The majority of those who came to Tsiteli Gora chose to join the collective farm because the party and state representatives were advised, in Lenin's words, to create a large collective farm since, as Lenin taught, "you cannot get rid of poverty with a small farm" (vol. 24, p. 54).¹³

After all the propaganda organized by the representatives of the Communist Party and the government on the ground, it was decided to cultivate the land together, and the Jews also started cutting down the forest. The government gave 36,800 manats for the construction of residential apartments. Agricultural machines, tools and working goods were purchased with 8,000 manats with a long-term loan¹⁴.

ზაციისა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ თავში განვიხილეთ, სადაც კოლმეურნეობის ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის შესახებ მონაცემები უფრო სანდოა.

„წითელ გორაში“ სამუშაოდ ჩამოსულთა უმრავლესობამ აირჩია კოლმეურნეობაში გაერთიანება, რადგან იქვე მყოფმა პარტიულმა და სახელმწიფო წარმომადგენლებმა ლენინის სიტყვებით ურჩიეს დიდი კოლმეურნეობის შექმნა რადგან, როგორც ლენინი ამბობდა: „წვრილი მეურნეობით გაჭირვებას თავს ვერ დააღწევ“ (ტ. 24, გვ. 54).¹³

ყოველგვარი სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის შემდეგ, რომელსაც ადგილზე მყოფი კომუნისტური პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები უბრუნველყოფდნენ, გადაწყდა მიწის ერთიანად დამუშავება და ებრაელებმაც დაიწყეს ტყის ჩეხვა. მთავრობის მიერ მიცემული 36.800 მანეთით გადაწყდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, ხოლო გრძელვადიანი სესხით, 8000 მანეთის ოდენობით კი — სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და მუშა საქონლის ყიდვა.¹⁴

შეიძინეს: 10 ცხენი, 5 რუსული ურემი, 10 ცული, 10 ნამგალი, 10 ცელი, 10 ფოცხი, 10 ბარი, 25 თოხი და სხვა.¹⁵

ჩასვლის პირველივე დღიდანვე ახალმოსულები ტყის ჩეხვას შეუდგნენ, თუმცა ჭინ ნელა მიიწევდნენ, რადგან ტყე ეკლიანი მცენარეებით იყო სავსე, რასაც სიცივეც დაერთო.¹⁶ მიუხედავად ამისა, ებრაელმა თემმა მუხლჩაუხრელი მუშაობით შეძლო რამდენიმე ჰექტარი მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება. ასე დაიწყო მუ-



A house which could possibly be a contemporary of the Jewish collective farm in Lagodekhi. Photo: Yulia Oreshina
სახლი, რომელიც შესაძლოა ლაგოდეხის ებრაული კოლმეურნეობის დღინდელი იყოს. იულია ორეშინას ფოტო

The local authorities purchased: 10 horses, 5 Russian carts, 10 axes, 10 scythes, 10 picks, 10 shovels, 10 bars, 25 hoes, and other resources¹⁵.

From the first day of their arrival, the settlers started cutting the forest, but they moved forward at a slow pace, because there were thorny plants, and it was cold¹⁶.

Despite the fact that the Jewish community worked tirelessly, they managed to free up several hectares of land, and thus started the work of the Jewish monoethnic collective farm Tsiteli Gora named after comrade Vano Sturua.

I: Which families lived in this district?

R: Here lived Krikheli, Ivanov, and in that place lived Jews before most Georgians¹⁷.

As can be seen from the documents, the Jewish collective farm of Tsiteli Gori was famous for the production of tobacco. In addition, the collective farm had small enterprises of various purposes, such as brick and iron works, as well as small grain milling and processing enterprises.

შაობა „წითელმა გორამ“ — ამხანაგ ვანო სტურუას სახელობის ებრაელთა მონოეთნიკურმა კოლმეურნეობამ.

ინტერვიუერი: და აქ რა გვარისები ცხოვრობდნენ?

რესპონდენტი დ.: აქ კრიხელები ცხოვრობდნენ, ივანოვები იქით ცხოვრობდნენ, აქაც კრიხელი ცხოვრობდა.¹⁷

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, „წითელი გორას“ ებრაელთა კოლმეურნეობა განთქმული იყო თამბაქოს კულტურის წარმოებით. გარდა ამისა, კოლმეურნეობას ჰქონდა სხვადასხვა დანიშნულების მცირე საწარმოები, იქნებოდა ეს, აგურის თუ რკინის ნაკეთობების, ასევე მარცვლეულის დაფქვისა და გადამუშავების მცირე საწარმოები.

თამბაქოს კულტურის განვითარებამდე კი, კოლმეურნეობამ სცადა სიმინდის, ქერის ხორბლის და სხვა მარცვლოვანი კულტურების მოყვანა, ასევე ბოსტნეულისა და მესაქონლეობის განვითარებაც, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ საარქივო დოკუმენტები, არამედ კვლევის ფარგლებში ჩაწერილი არაერთი ინტერვიუ ყოფილი „წითელი გორას“ ებრაელთა კოლმეურნეობის ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებლებთან:

ინტერვიუერი: კონკრეტულად რა საშუალებები ჰქონდათ, მიწაზე მუშაობდნენ?

რესპონდენტი დ.: კოლმეურნეობებში მუშაობდნენ და, ძირითადად, თამბაქოს და სიმინდის მოსავალს იღებდნენ, აქ ახლოს იყო „წითელი გორას“ კოლმეურნეობა.¹⁸

„წითელ გორაში“ ცხოვრების შესახებ კიდევ ერთმა რესპონდენტმა მოგვაწოდა ინფორმაცია:



Animals grazing in Tsiteli Gora area today

ცხოველები ძოვენ ბალახს,
„წითელი გორა“ ღღეს

Before the development of tobacco culture, the collective farm tried to grow corn, barley, wheat and other grain crops, as well as the development of vegetables and cattle breeding, which is confirmed not only by archival documents, but also by more than one interview recorded over the course of our research, in the villages surrounding the former Tsiteli Gora Jewish collective farm. Here is a fragment of an interview about the collective farm:

I: What kind of particular jobs did they have, were they working on the land?

R: They were working in collective farms and harvesting mostly tobacco and maize, and near here was the Tsiteli Gora collective farm¹⁸.

Another interviewee informed us the following about life in Tsiteli Gora:

Respondent T: Boy, it was a collective, it brought us silk. It was silk, a worm, we call it a park. Also maize, everything and, I don't know, it was the time of the Communists. Everyone worked hard. These were good, dear people. We were friends, we were brothers and... Don't remember who died now, now there are graves. There is another cemetery over there, there is ours, or rather, that of the Imeretians. When

რესპონდენტი თ.: კი, კი, როგორ არა, (ჩაახველა) ბიჭო, კოლექტივი იყო, მოგვყავდა აბრეშუმში, აბრეშუმში იყო, ჭია, პარკს ვეძახით იმას. ასევე სიმინდები, ყველაფერი და, რავი, კომუნისტების დრო იყო. ყველა შრომობდა, მუშაობდა. კარგი, ძვირფასი ხალხი იყვნენ ესენი. ვმეგობრობდით, ვძმაკაცობდით და... ნუ, ახლა... ვის დაეღუპა, გამორჩევით, ახლა ესენი ასაფლავია. იქით კიდევ მეორე სასაფლაოა, იქ ჩვენი, იმერლების, რა, უფრო სწორად. ესენი აქედან როცა წავიდნენ, დატოვეს ესე და დაკეტილია და ახლა ჩვენ ვასუფთავებთ. ახალგაზრდა დაეღუპა კაცს, ჩვენს ძმაკაცს და ვასუფთავებთ უბრალოდ რა.¹⁹

„წითელ გორას“ ოფიციალურად რეგისტრირებული სინაგოგა არ ჰქონია და ისინი, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს იქ ებრაელთა ცხოვრება, ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი ებრაელები თბილისის სინაგოგაში დადიოდნენ:

ინტერვიუერი: როგორი ურთიერთობა გქონდათ ებრაელებთან? და ჰქონდათ სინაგოგა?!

რესპონდენტი დ.: ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ნ კლასელი მყავდა... სინაგოგა არ ჰქონდათ, ხან რაღაც მიწაზე იკრიბებოდნენ, შაბათს იკრიბებოდნენ და ლოცულობდნენ. შაბათს იცავდნენ, მათ არც სჭირდებოდათ ეთხოვათ ჩვენთვის მათ სახლში შეუქის ანთება ან ბუხრის დანთება (ჩვენ თვითონ ვაკეთებდით ამას).²⁰

„წითელი გორა“ ერთადერთი ებრაელი კოლმეურნეობა იყო, რომელმაც განაგრძო არსებობა 1930-იან წლებში ობეტის გაუქმების შემდეგ.

they left here, they left this and it is closed, and now we are cleaning it¹⁹.

There was no officially registered synagogue in Tsiteli Gora, and those who still remember Jewish life in Tsiteli Gora claim that the local Jews used to go to the synagogue in Tbilisi.

I: What kind of relationship did you have with Jews? And did they have a Synagogue?!

R: I had good relationships with Jews, I had 6 class mates. They had no synagogue, sometimes they were gathering on some land, and on Saturday they were gathering and praying. They were observing Saturdays, we even did not need to be asked to make lights in their homes, or fire in the fireplace. [We were doing it ourselves]²⁰

The Tsiteli Gora collective farm was the only Jewish collective farm that continued to operate in Georgia after the liquidation of OZET in the late 1930s.



A fragment of a residential building in Tsiteli Gora with the year of construction. Photo by Yulia Oreshina

„წითელ გორაში“ საცხოვრებელი შენობის ფრაგმენტი, რომელზეც დატანილია აშენების წელი. იულია ორეშინას ფოტო

The farm functioned until the 1970s, when a wave of migration of Georgian Jews to Israel began. The majority of the Jewish population of Tsiteli Gora left for Israel at that time, and Georgian settlers

ის 1970-იან წლებამდე ფუნქციონირებდა, სანამ ისრაელში ქართველი ებრაელების მიგრაცია არ დაიწყო. „წითელი გორას“ ებრაული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ისრაელში ამ დროს გაემგზავრა. კოლმეურნეობა შემდგომ დასავლეთ საქართველოდან მოსული ქართველებით დასახლდა. აი, რას იხსენებენ ადგილობრივები, რომელთაც ახსოვთ ებრაელების იქ ცხოვრება:

ინტერვიუერი: იქნებ გვითხრათ, როგორ და სად წავიდნენ ებრაელები ამ სოფლიდან?

რესპონდენტი მ.: ვინც დატოვა სოფელი, ისრაელში წავიდნენ, მაგრამ მე ასევე ვიცნობ 40-ზე მეტ ოჯახს, რომლებსაც ბინა აქვთ თბილისში და ქელიჩადში რამდენჯერმე ჩამოდიან საქართველოში.²¹

აქვეა ფრაგმენტი სხვა ინტერვიუდან:

ინტერვიუერი: გვითხარით, რას აკეთებდნენ აქ და როგორ დატოვეს საქართველო?

რესპონდენტი რ.: ეს ტერიტორია არის „წითელი გორას“ ყოფილი კოლმეურნეობის მიწები. 1970-იანი და 1990-იანი წლების შემდეგ ებრაელების უმეტესობამ გაყიდა თავისი სახლები და წავიდა, და ისინი ყოველწლიურად მოდიან და სტუმრობენ ძველ სახლებს. ებრაელები, რომლებმაც დატოვეს „წითელი გორა“, სოფელი ულიანოვკა, წავიდნენ საცხოვრებლად ისრაელში, ნაზარეთში. მუშაობდნენ კოლმეურნეობებში, მაგრამ პარალელურად ვაჭრობდნენ, თუ რამე ახალი შემოჰქონდა სოფელში, ებრაელებს მოჰქონდათ. სხვათა შორის, კარგი იყო [ისინი ამ ფაქტით კმაყოფილები იყვნენ].²²

from the west of the country began to settle in the collective farm. This is what local people who remember Jews in Tsiteli Gora recall:

I: Could you tell us how and where Jews left this village?

R: Jews who left went to Israel, but I also know more than 40 families who have flats in Tbilisi, and they come several times a year to Georgia.²¹

And here is a fragment from another interview:

I: Tell us what they were doing here and how they left Georgia?

R: This territory is the former Tsiteli Gora collective farm lands. After the 1970s and the 1990s, most Jews sold their homes and left, although they come every year and visit their old homes. Jews who left Tsiteli Gora, village Ulianovka, went to live in Nazareth in Israel. They used to work in collective farms, but also they were trading at the same time; if anything new was bringing in the village, the Jews were used to bringing it. By the way, it was good. [They were satisfied with that fact]²²

According to the communicative memory of those who live in Tsiteli Gora today, local Jews left for Ashdod and Nazareth:

K: Don't you know in which cities they live in Israel?

Respondent D: Mostly, those who went from here live in Nazareth. Those who left our village mostly live there, and also in Ashdod. One of my classmates lives in Ashdod, look, he used to live in the house just opposite from here, he went to Ashdod²³.

So, under the influence of the national political course of korenizatsiia, large monoethnic collective farms were formed in Soviet Georgia as well, and not only small

„წითელ გორაში“ დღეს მცხოვრებთა კომუნიკაციური მეხსიერების მიხედვით, ადგილობრივი ებრაელები გაემგზავრნენ აშდოდსა და ნაზარეთში:

ინტერვიუერი: ხომ არ იცით, კონკრეტულად რომელ ქალაქში ცხოვრობენ ისრაელში?

რესპონდენტი დ.: ძირითადად ჩვენი წასულები ცხოვრობენ ნაზარეთში. ჩვენი სოფლიდან წასულები ძირითადად იქ ცხოვრობენ, აშდოდშიდაც ცხოვრობენ, ჩემი ერთი კლასელი, აი, პირდაპირ სახელში ცხოვრობდა, აი, ეგ აშდოდში ცხოვრობს.²³

მიუხედავად პროპაგანდისა, თითქოს მიწაზე მუშაობის მსურველ ებრაელებსა და ასევე სხვა ეთნოსებს ეძლეოდათ არჩევანის საშუალება, კორენიზაციის ნაციონალური პოლიტიკური კურსის ზეგავლენით საბჭოთა საქართველოში არა მხოლოდ მცირემიწიან ფერმერთა გაერთიანებები, არამედ სწორედ რომ ფართო კოლმეურნეობები ყალიბდებოდა.

ასევე უნდა ითქვას, რომ საქართველოში მონოეთნიკური კოლმეურნეობების ჩამოყალიბება შედარებით მშვიდ და გაცილებით ნაკლებად მკაცრ სახეს ატარებდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიებზე, თუნდაც მაშინ, როდესაც სტალინმა 1929 წელს გამოაცხადა „დიდი შემობრუნების“ პოლიტიკა.²⁴

1930 წლისთვის მეურნეებმა საკუთარ თავზე იწვნიეს, როცა 25 000-მა ქარხნის მუშამ და წითელმა არმიამ მათი ძალდატანებითი კოლექტივიზაცია დაიწყეს, რაც, ძირითადად, სამხრეთ უკრაინის ტერიტორიებზე ხორციელდებოდა. ამ პროცესს

land farmers' associations. This happened despite the fact that the propaganda said that Jews and other ethnic groups who wanted to work on the land were given the opportunity to choose.

It should also be said that the formation of monoethnic collective farms in Georgia was relatively calm and much less strict than in other territories of the Soviet Union, even when Stalin announced the policy of the Great Turn in 1929²⁴.

By 1930, the farmers tested themselves; 25,000 factory workers and the Red Army started the forcible collectivization of the farmers, mainly in the territories of southern Ukraine, a process now called 'dekulakization.' During dekulakization, the countryside was cleared of wealthy peasants to create an integrated collective agrarian sector²⁵. The process of dekulakization was joined by the local communist authorities, and as a result, by 1930 alone, the number of people arrested and punished amounted to 337,563 kulak families²⁶.

These complex transformations took place parallel to the collectivization of Soviet Georgia, though in comparison to southern Ukraine, Soviet Georgia managed to go through the process of collectivization relatively peacefully. This is confirmed by the above-mentioned archival documents, and we have no evidence of violent processes similar to that found in Ukraine in Georgian lands, at least regarding the Jewish collective farms.

ახლა დეკულაკიზაციას უწოდებენ. სოფლები გაიწმინდა შეძლებული გლეხებისგან, რათა ინტეგრირებული კოლექტიური აგრარული სექტორი შექმნილიყო.²⁵ დეკულაკიზაციის პროცესს შეუერთდნენ ადგილობრივი კომუნისტური ავტორიტეტებიც. შედეგად მხოლოდ 1930 წლისთვის დაპატიმრებულ და დასჯილთა რაოდენობამ შეადგინა 337,563 კულაკთა საოჯახო მეურნეობები.²⁶

მიუხედავად ასეთი რთული გარდაქმნებისა, რაც საბჭოთა საქართველოს კოლექტივიზაციის პარალელურად სამხრეთ უკრაინის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა, საბჭოთა საქართველო შედარებით უფრო მშვიდობიანად ახერხებს კოლექტივიზაციის პროცესის გავლას, რაც ზემოთ მოყვანილი არაერთი საარქივო დოკუმენტიც დასტურდება.

Endnotes/სქოლიო

¹ 525.1.528, pp-4

² საქ. ებრაელთა ისტ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი 1, 1940, გვ 161

³ ქერჩიშვილი, ი. ებრაელთა კოლმეურნეობა „წითელი გორა» // საქ. ებრაელთა ისტ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი 2, 1940, გვ 72

⁴ 525.1.517, pp 92

⁵ 525.1.521, 525.1.17, 521.1.21

⁶ ქერჩიშვილი, ი. Ibidem, p. 72

⁷ 525.1.528. pp-5

⁸ The interview was recorded in the village of Tsiteli Gora, on June 26, 2023, at 18:53. The respondent turned out to be a man under 72 years old, Ossetian.

⁹ 525.1.528. pp-5

¹⁰ 525.1.528, pp 2-8

¹¹ 525.1.528, pp 3

¹² The interview was recorded in the village of Tsiteli Gora, on June 26, 2023, at 18:53. The respondent turned out to be a man under 72 years old, Ossetian.

¹³ ქერჩიშვილი, ი. Ibidem, p. 65.

¹⁴ ქერჩიშვილი, ი. Ibidem, p. 52.

¹⁵ ქერჩიშვილი, ი. Ibidem, p. 77.

¹⁶ ქერჩიშვილი, ი. Ibidem, p. 36.

¹⁷ Interview 03, 28 June 2023, 10 minute, interview with an Osetian, male.

¹⁸ Interview in Ulianovka village: Georgian, 58 years old, relocated to Ulianovka in the 1970ies from Imereti.

¹⁹ The interview was recorded on June 25, 2023, at the Jewish cemetery of Tsiteli Gora. The respondents turned out to be two 70-year-old men whom we met while maintaining a Jewish cemetery.

²⁰ Interview 03, 28 June 2023, 10 minute, interview with an Osetian, male.

²¹ Interview in Ulianovka village: Georgian, 58 years old, relocated to Ulianovka in the 1970ies from Imereti.

²² Interview 03, 28 June 2023, 10 minute, interview with an Osetian, male.

²³ The interview was recorded in the village of Tsiteli Gora, on June 26, 2023, at 18:53. The respondent turned out to be a man under 72 years old, Ossetian.

²⁴ Dekel-Chen J. L. (2005) Farming the Red Land, p. 132.

²⁵ Ibidem, p. 131.

²⁶ Ibid., p. 133.

CONCLUSION

The current book presented a general overview of the history of Jewish collective farms in Soviet Georgia, and introduced the main historical sources on the topic within scholarly circulation. While the authors are aware of its limitations, we have a hope that it will be a starting point for further research of the topic.

It is clear that the history of Jewish collective farms in Soviet Georgia is closely related to the history of the all-Soviet processes of Sovietization and collectivization of the population, as well as of the wider discussion on the territorialization of Soviet Jewry. This included the general implementation of the all-Soviet politics of nationalities and korenizatsiia politics of the time.

Jewish collective farms in Soviet Georgia were created in the wake of the discussions on “placing Jewish population on the land”. This was a period when projects such as creating a Soviet Jewish republic, first in Crimea, and then in Birobidzhan, were discussed.

The Joint Distribution Committee within the framework of Agro-Joint provided material help to Jewish collective farms in the Black Sea region, with the further aim of creating a Soviet Jewish republic in Crimea. Georgian Jewish collective farms received this help too, as Georgia is situated in the Black Sea region. Later on, the main purpose of Jewish collectivization became the prospective resettlement of Jewish population to Birobidzhan. Nevertheless, these attempts failed.

By the end of the 1930s, with the

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი ზოგადად მიმოიხილავს საბჭოთა საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების ისტორიას და სამეცნიერო წრეებს აცნობს ამ თემაზე ძირითად ისტორიულ წყაროებს. მიუხედავად იმისა, რომ ვაცნობიერებთ ნაშრომის შეზღუდვებს, იმედი გვაქვს, რომ ეს იქცევა საწყის წერტილად თემის შემდგომი კვლევისთვის.

ცხადია, საბჭოთა საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების ისტორია მჭიდრო კავშირშია საბჭოთა ებრაელების ტერიტორიალიზაციის ზოგად პროცესებთან და მოსახლეობის კოლექტივიზაციის ისტორიასთან. ეს მოიცავდა ეროვნებებზე მიმართულ სრულიად საბჭოთა პოლიტიკისა და იმდროინდელი კორენიზაციის პოლიტიკის განხორციელებას.

საბჭოთა საქართველოში ებრაული კოლმეურნეობები შეიქმნა „ებრაული მოსახლეობის მიწაზე განთავსების შესახებ დისკუსიების კვალდაკვალ“. ეს იყო პერიოდი, როდესაც საბჭოთა ებრაული რესპუბლიკის შექმნას ჯერ ყირიმში, შემდეგ კი ბირობიჯანში განიხილავდნენ.

გაერთიანებული მომარაგების კომიტეტი მატერიალურ დახმარებას უწევდა ებრაულ კოლმეურნეობებს შავი ზღვის რეგიონში, რათა ყირიმში საბჭოთა ებრაული რესპუბლიკა შექმნილიყო. ეს დახმარება ქართულმა ებრაულმა კოლმეურნეობებმაც მიიღეს, რადგან საქართველო შავი ზღვის რეგიონს ეკუთვნის. მოგვიანებით, ებრაული კოლექტივიზაციის მთავარ მიზ-

closure of Evkombed and GruzOZET, the majority of monoethnic Jewish collective farms in Georgia were gradually dismantled, too. Most of them were united with other, non-Jewish, collective farms. The only monoethnic Jewish collective farm that stayed functional till the late Soviet period was Tsiteli Gora, which changed its character into a non-Jewish collective farm after the majority of its participants left for Israel.

Nowadays, there's little left in the Georgian communicative memory about the past existence of Jewish collective farms in the country. Due to the distance of time between these events and the present, and the lack of information in local museums or educational institutions, people remember only the Tsiteli Gora collective farm, which was the last to disappear.

ნად ებრაული მოსახლეობის ბირობიჯანში სამომავლო გადასახლება იქცა. თუმცა, ეს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა.

1930-იანი წლების ბოლოს, ევკომბედისა და გრუზოზეტის დახურვით საქართველოში მონოეთნიკური ებრაული კოლმეურნეობების უმრავლესობაც თანდათან დაიშალა. მათი უმეტესობა არა-ებრაულ კოლმეურნეობებს შეუერთდა. ერთადერთი მონოეთნიკური ებრაული კოლმეურნეობა, რომელიც ფუნქციონირებდა გვიან საბჭოთა პერიოდამდე, იყო „წითელი გორა“, რომელიც არაებრაულ კოლმეურნეობად გარდაიქმნა მას შემდეგ, რაც ებრაელთა უმრავლესობა ისრაელში გაემგზავრა.

დღესდღეობით, საქართველოში ებრაული კოლმეურნეობების წარსულში არსებობის შესახებ მცირე კომუნიკაციური მეხსიერებაა შემორჩენილი. იმის გამო, რომ ამ მოვლენებიდან დიდი დროა გასული და ადგილობრივ მუზეუმებსა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციის ნაკლებობაა, ხალხს მხოლოდ „წითელი გორას“ კოლმეურნეობა ახსოვს, რომელმაც უკანასკნელმა შეწყვიტა არსებობა.

Literature

ლიტერატურა

Agapov. M. (2011). Krim - "Zemlya obetovannaya": Iz istorii resheniya yeveryskogo voprosa v SSSR (1920-e gg) // Materialy XV Vserossiyskoy nauchno-prakticheskoy konferentsii "Istoriya narodov Rossii", Moscow, 2011.

Altshuler, M. (1998) Synagogues and rabbis in the Soviet Union in the light of statistics, 1953-1964, In: Jews in Eastern Europe 1 [35], pp. 39-46.

Dekel-Chen J. L. (2005) Farming the Red Land: Jewish Agricultural Colonization and Local Soviet Power, 1924–1941. Yale University Press.

Gitelman Zvi Y. (1972) Jewish Nationality and Soviet Politics: The Jewish Sections of the CPSU, 1917-1930. Princeton University Press.

Głowacki, A. (1992). O uchodźcach polskich w Gruzji w latach II wojny światowej, In: Pro-Georgia. Prace i materiały do dziejów stosunków gruzińsko-polskich, Nr. 2, Warsaw.

ქუჩიშვილი, ი. ებრაელთა კოლმეურნეობა „წითელი გორა“ // საქ. ებრაელთა ისტ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი 2, 1940.

Mogarichev, K. "Our New Soviet Zion": Projects and Creation Attempts of the Jewish National Territorial Unit in Crimea (1920-1940s) , Simferopol 2021.

Paikin, S. (1933). Evkombed Gruzii. Tbilisi.

Plisetsky, M. (1931). Religia i byt gruzinskikh evreev. Moscow.

Slezkine, Y. (1994). The USSR as a Communal Apartment, or How the Socialist State Promoted Ethnic Particularism. Slavic Review 53 (2): 414–452.

Tsitsuashvili, Sh. (2004). "The history of the Jews in Georgia", In: Beyond the Golden Fleece: A Cultural History of The Jews of Georgia.

List of sources

The book is based on oral history interviews and archival research in the National Archives of Georgia, as well as in the National Parliamentary Library of Georgia. The main fonds consulted in the National Archives of Georgia were 541 and 525, as well as 1711.

წყაროების ჩამონათვალი

წიგნი ეფუძნება ინტერვიუების სახით ჩაწერილ ზეპირ ისტორიებსა და საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელებულ საარქივო კვლევებს. საქართველოს ეროვნულ არქივში კონსულტირებული ძირითადი ფონდები იყო 541-ე და 525-ე, ასევე 1711-ე.

Yulia Oreshina
Giorgi Zazunishvili

COLLECTIVIZATION AND CULTURAL AUTONOMY:

The Early Soviet Period of Jewish History in Georgia

იულია ორეშინა
გიორგი ზაზუნაშვილი

კოლექტივიზაცია და კულტურული ავტონომია:

საქართველოს ებრაული ისტორიის ადრეული საბჭოთა პერიოდი

Tbilisi
თბილისი

2023

